შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სტატუსით "უსინათლო") პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის გადასახადზე (ღირებულება 0,40 ლარი) შეღავათის დაწესება.

მუხლი 2. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამით მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტატუსით „უსინათლო“ პირები, რომლებიც ქალაქ რუსთავში მცხოვრები და რეგისტრირებული არიან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ).

2.მოსარგებლე პირთა პროგრამასთან შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ბაზების და პროგრამით მოსარგებლეების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3.პროგრამით მოსარგებლე პირთა რაოდენობა შეიძლება შეიცვალოს ამ მუხლის მე-2-ე პუნქტით გათვალისწინებულ ბაზაში შესული ცვლილებების საფუძველზე.

4.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 3. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 4. განხორციელების მექანიზმები

1.ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკს" გაფორმებული შეთანხმების შესაბამისად აწვდის ინფორმაციას პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ, რის შემდეგაც ბანკი უზრუნველყოფს მათთვის მგზავრობისათვის საჭირო ელექტრონული ბარათების (City Pass

საგადამხდელო ბარათების) დამზადებასა და გადაცემას, რისი მეშვეობითაც ბენეფიციარებს შეეძლებათ 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით იმგზავრონ თვეში არაუმეტეს 60-ჯერ.

2.პროგრამით მოსარგებლეთა შესახებ ინფორმაცია განახლდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ბაზებსა და საქართველოს უსინათლოთა კავშირის რუსთავის ფილიალის მიერ წარმოდგენილ სიებზე დაყრდნობით, რის შემდეგაც ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური სს "ლიბერთი ბანკიდან" მიღებული ინფორმაციის (მგზავრობის ტრანზაქციების რაოდენობის რეესტრი) დამუშავების შემდეგ ახორციელებს ანგარიშსწორებას შპს "რუსთავის მუნიციპალურ ავტოტრანსპორტის საწარმოსთან".

მუხლი 5. პროგრამის ბიუჯეტი

1.პროგრამის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი ბიუჯეტი. პროგრამის ბიუჯეტია 5 000,00 (ხუთი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარი, მათ შორის 2017 წლის დეკემბრის ხარჯი შეადგენს 180.00 (ას ოთხმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობაზე შეღავათის დაწესების პროგრამის ბიუჯეტი კვარტალურად განაწილებულია შემდეგნაირად:

ბიუჯეტი	5 000,00 ლარი
I კვარტალი	1 750,00 ლარი
II კვარტალი	1 250,00 ლარი
III კვარტალი	1 000,00 ლარი
IV კვარტალი	1 000,00 ლარი

2.პროგრამის მოსარგებლეთა რაოდენობა ყოველთვიურად შესაბამისობაში მოდის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებულ ელექტრონულ ბაზებსა და საქართველოს უსინათლოთა კავშირის რუსთავის ფილიალის მიერ წარმოდგენილ სიებზე დაყრდნობით, რომლის საფუძველზეც ცვლილება შეიძლება შევიდეს პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობაში, რაც გამოიწვევს ცვლილებას ანგარიშსწორებისას.

მუხლი 6. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (სტატუსით „უსინათლო“) პირთათვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობისგან ნაწილობრივ გათავისუფლება.

მუხლი 7. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი